

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების *CASE OF STEUR v. THE NETHERLANDS* (განაცხადის N39657/98)¹ მოკლე მიმოხილვა

ნინო ხიზანიშვილი (სტუდენტი)
გიორგი შალამბერიძე (სტუდენტი)

პროცედურა

აპლიკანტმა - ჰოლანდიაში მოღვაწე იურისტმა სარჩელი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ჰოლანდიის სამეფოს წინააღმდეგ. ის თვლიდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დაცულ სფეროში არსებული მისი უფლებები დაირღვა იმის გამო, რომ მან თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას გააკეთა განცხადება, რასაც მოჰყვა დისციპლინური ღონისძიება მის წინააღმდეგ.

ფაქტები

1992 წელს სოციალური დაცვის მუშაკმა ჩაიწერა ბატონი ბ-ს განცხადება, რომელიც ეჭვმიტანილი იყო უკანონოდ სოციალური ბენეფიტების მითვისებაში და შესაბამისად, დოკუმენტების გაყალბებაში. ბატონი ბ სოციალურ მუშაკთან მართო იყო და მიუხედავად იმისა, რომ სურინამიდან იყო წარმოშობით, არც თარჯიმნისა და არც იურისტის დახმარება არ მიუღია. ამის შემდგომ, ბატონი ბ-ს წინააღმდეგ აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნა და დაიწყო სამოქალაქო სამართალწარმოება. მას აპლიკანტი წარმოადგენდა ორივე მიმართულებით. სამოქალაქო სამართალწარმოებისას აპლიკანტმა განაცხადა: „ბატონი ბ-ს განცხადება მხოლოდ და მხოლოდ ზეწოლის ქვეშ შესაძლოა ყოფილიყო გაკეთებული. ის იყო მიუღებელი მანერების მსხვერპლი და არ ესმოდა ამ განცხადების არსი“. გაიგო რა ამ განცხადების შესახებ, სოციალური სამსახურის თანამშრომელმა საჩივარი შეიტანა აპლიკანტის წინააღმდეგ. ის ამტკიცებდა, რომ აპლიკანტის დაუსაბუთებელი ბრალდებები შეურაცხყოფდნენ მის პროფესიულ ღირსებას და რეპუტაციას და რომ აპლიკანტმა გადალახა ღირსების ზღვარი.

ჰააგის, როგორც დისციპლინურმა საბჭომ, ისე შემდგომ სააპელაციო დისციპლინურმა ტრიბუნალმა აპლიკანტს დააკისრა პასუხისმგებლობა იმ მოტივით, რომ ადვოკატს არ უნდა გაეკეთებინა მსგავსი განცხადება ხელშესახები ფაქტების გარეშე, რაც ასევე მოიცავდა იმას, რომ ადვოკატს განცხადების გაკეთებამდე, კლიენტისგან უნდა მიეღო ინფორმაცია განცხადების სინამდვილესთან შესაბამისობასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, აპლიკანტს გამოეცხადა საყვედური.

კანონმდებლობა

პროფესიის რეგულირების აქტის 46-ე მუხლი ამბობს, რომ ადვოკატები დაექვემდებარებიან დისციპლინურ წარმოებას ნებისმიერ უმოქმედობასთან მიმართებით, რა დროსაც უნდა ემოქმედათ მათ დასაცავად, ვის ინტერესებსაც წარმოადგენენ ან უნდა წარმოადგინონ. ასევე ადვოკატები დაექვემდებარებიან პასუხისმგებლობას ეროვნული ასოციაციის რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში და იმ მოქმედებისათვის, რომელიც არ შეეფერება რესპექტაბელურ ადვოკატს. პირველ ინსტანციაში დისციპლინურ სამართალწარმოებას ახორციელებს დისციპლინური საბჭო, ხოლო სააპელაციო და ბოლო ინსტანცია არის სააპელაციო დისციპლინური ტრიბუნალი“.

სამართლებრივი შეფასება

¹[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-61410"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

ძირითადი საკითხი: დაირღვა თუ არა კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადვოკატის ქმედებით, როდესაც პროცესზე აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო გამომძიებელს კლიენტისაგან მიეღო დამნაშავეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები მასზე ზეწოლის გარეშე?

ქვე-საკითხი #1: განხორციელდა თუ არა ჩარევა სადისციპლინო სააპელაციო ტრიბუნალის მიერ ადვოკატის ქმედებაში კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში, როდესაც ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ საქმის განხილვის დროს ადვოკატს არ ჰქონდა უფლება ფაქტებზე დაფუძნებით დაესკვნა, რომ მისი კლიენტის წინააღმდეგ განხორციელდა ზეწოლა? „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის 10.1 მუხლით, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...“ მართალია ტრიბუნალს სანქცია არ დაუკისრებია ადვოკატისათვის, თუმცა იგი ბრალეულად ცნეს პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევისათვის, რაც უარყოფით ზეგავლენას იქონიებდა მასზე, რადგან მომავალში კლიენტის ინტერესების დაცვის დროს თავს, იგრძნობდა შეზღუდულად ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტების შერჩევისას. შესაბამისად, ადვოკატის მიმართ განხორციელდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

ქვე-საკითხი #2: იყო თუ არა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა თანაზომიერი? „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის 10.2 მუხლით, ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობებისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში... სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად. ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ის, რომ ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით და მიზნად ისახავდა სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას. მსჯელობის საგანი გახდა აუცილებლობის კრიტერიუმი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ადვოკატის განაცხადი უკავშირდებოდა გამომძიებლის ქმედებებს და მკაცრად იყო ამით შემოფარგლული, რაც განსხვავდება კრიტიკისაგან, რომელიც უკავშირდება გამომძიებლის პროფესიულ თუ სხვა თვისებებს. გარდა ამისა, ადვოკატმა განცხადება გააკეთა სასამართლო დარბაზში, რაც ვერ ჩაითვლებოდა პიროვნულ შეურაცხყოფად. ასევე, ადვოკატის ქმედება ეფუძნებოდა ფაქტს, რომ კლიენტს არ ესმოდა თავისი ჩვენების შინაარსი სრულად, რომელიც თარჯიმნის არყოფნის პირობებში მისცა გამომძიებელს. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილობრივ დისციპლინურ ტრიბუნალს არ უცდია დაედგინა შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს ადვოკატის სადავო განცხადება და მოქმედებდა თუ არა ადვოკატი კეთილსინდისიერად. შესაბამისად, ადვოკატის ქმედება არასდროს გამხდარა მსჯელობის საგანი. სასამართლოს აზრით, დამაკმაყოფილებელი არ არის სააპელაციო ტრიბუნალის არგუმენტი, რომ ადვოკატის მიერ სადავო განცხადების გაკეთებისას იგი ჯერ არ იყო კლიენტის მიერ ინფორმირებული მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ. მართალია ტრიბუნალს ადვოკატის მიერ სანქცია არ გამოუყენებია, თუმცა ტრიბუნალის მიერ გამოყენებული ex post facto მიმოხილვა ადვოკატის მიერ გაკეთებული კრიტიკისა ძნელად უთავსდება კლიენტის დაცვის მოვალეობას და მომავალში აუცილებლად ექნება „მსუსხავი ეფექტი“ ადვოკატის პროფესიულ პრაქტიკაზე.

დასკვნა:

შესაბამისად, არ არსებობს საკმარისი საფუძველი ადვოკატის ქმედებაში ჩარევის გასამართლებლად და დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლება.